

კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. სამეცნიერო კვლევითი პროექტების შემთხვევაში აუცილებელია თუ არა თანამონაწილე ორგანიზაცია?

პასუხი: მხოლოდ ერთობლივი პროექტის შემთხვევაში შესაძლებელია პროექტში ჩართული იყოს თანამონაწილე ორგანიზაცია.

2. პირი მონაწილეობს მიმდინარე საგრანტო პროექტებში, აქვს თუ არა უფლება მონაწილეობა მიიღოს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევით პროექტში ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის სტატუსით?

პასუხი: ამ ტიპის შეზღუდვა კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსისთვის განსაზღვრული არ არის.

3. საჭიროა თუ არა საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაცია დარეგისტრირდეს Gmus-ში?

პასუხი: საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაციის დარეგისტრირება Gmus-ში საჭირო არ არის, ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია უნდა მიუთითოთ შესაბამის ველში და ატვირთოთ თანხმობის წერილი.

4. პროექტში ჩართულ უცხოელ მეცნიერზე ხელფასის გაწერა თუ შეიძლება? და თუ კი, რომელ კატეგორიაში?

პასუხი: პროექტში ჩართულ უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერზე თუ იგი წარმოადგენს ძირითად პერსონალს უნდა გაიცეს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება შესაბამისი მუხლიდან.

იმ შემთხვევაში თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე გაფორმდება როგორც დამხმარე პერსონალი მასზე უნდა გაიცეს ხელფასი დამხმარე პერსონალის საგრანტო დაფინანსების მუხლიდან.

5. საპროექტო განაცხადის წარდგენის დროს შესაძლებელია თუ არა ორ საპროექტო განაცხადში ერთიდაიგივე უცხოელი მეცნიერის ჩართულობა?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.